

საქართველოს კანონი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი, №47-48, 31.12. 1997, გვ.21) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 212-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს საერთო სასამართლოებში, წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო სხდომის დარბაზში - სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე), რომელიც გასცემს სათანადო განკარგულებებს. სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) უფლებამოსილია დარბაზის ფართობიდან გამომდინარე შეზღუდოს სხდომაზე დამსწრე პირთა რაოდენობა.“;

ბ) მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. თუ სასამართლოს (მოსამართლის) მიმართ გამოხატულია აშკარა და უხეში უპატივცემულობა, სასამართლოს თავმჯდომარეს, მოსამართლის მიმართვის საფუძველზე, ხოლო მოსამართლეს - სასამართლოს თავმჯდომარის მიმართვის საფუძველზე დაუყოვნებლივ გამოაქვს განკარგულება პირის 30 დღე-ღამემდე ვადით დაპატიმრების შესახებ. განკარგულება აღსრულდება დაუყოვნებლივ, რაც არ აბრკოლებს საქმის განხილვა გადაწყვეტას.“;

გ) მე-6 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ამ მუხლით გათვალისწინებული სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულება მიიღება ადგილზე თათბირით, ხოლო საერთო სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულება ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლოში წესრიგის დარღვევის თაობაზე გამოცემული განკარგულება, გარდა დაპატიმრების შესახებ განკარგულებისა არ საჩივრდება. განკარგულება დამრღვევს გადაეცემა დაუყოვნებლივ.“.

2. 212-ე მუხლს დაემატოს:

ა) შემდეგი შინაარსის 1¹ ნაწილი:

„1¹. საქმის განხილვისას წესრიგის დამრღვევ პირს სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) აძლევს გაფრთხილებას.“;

ბ) შემდეგი შინაარსის 4¹ ნაწილი:

„4¹. თუ წესრიგის დამრღვევი გამოხატავს აშკარა და უხეშ უპატივცემულობას პროცესის მონაწილის მიმართ ან მისი ქმედება მიზნად ისახავს სასამართლოზე ზემოქმედებას ან პროცესის ჩაშლას, სხდომის თავმჯდომარეს (მოსამართლეს) გამოაქვს განკარგულება პირის 30 დღე-ღამემდე ვადით დაპატიმრების შესახებ. განკარგულება აღსრულდება დაუყოვნებლივ, რაც არ აბრკოლებს საქმის განხილვა გადაწყვეტას.“;

გ) შემდეგი შინაარსის მე-8-12-ე ნაწილები:

„8. პირი სხდომიდან გაძევებულად ითვლება იმავე ინსტანციის სასამართლოში ამ ბრალდების საქმესთან დაკავშირებით სასამართლო განხილვის დასრულებამდე.“

Handwritten signature

მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია გაძევებულ პირს მისცეს სხდომაზე დაბრუნების შესაძლებლობა.

9. პირველი ინსტანციის სასამართლოში წესრიგის დარღვევისათვის დაპატიმრების თაობაზე გამოცემული სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულება, გარდა ამ მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გამოცემული განკარგულებისა, შეიძლება გასაჩივრდეს იმავე ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარესთან, ხოლო სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულება – სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესთან.

10. სააპელაციო სასამართლოში წესრიგის დარღვევისათვის დაპატიმრების თაობაზე გამოცემული სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულება, გარდა ამ მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გამოცემული განკარგულებისა, შეიძლება გასაჩივრდეს ამავე სასამართლოს თავმჯდომარესთან, ხოლო სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულება – საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

11. ამ მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გამოცემული პირველი ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარის, სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესთან, ხოლო სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის, სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულება – საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ან სხდომის თავმჯდომარის მიერ წესრიგის დარღვევის თაობაზე გამოცემული განკარგულება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება..“;

დ) დაემატოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა:

„შენიშვნა:

1. ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, ამ მუხლის საფუძველზე დაჯარიმებულ პირს ჯარიმასთან ერთად დაერიცხება საურავი:

ა) 150 ლარის ოდენობით – 50-დან 250 ლარამდე დაჯარიმების შემთხვევაში;

ბ) 300 ლარის ოდენობით – 250-დან 500 ლარამდე დაჯარიმების შემთხვევაში.“

3. 389-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 389. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსი

1. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში უნდა მიეთითოს:

ა) გადაწყვეტილების გამოტანის დრო და ადგილი;

ბ) სასამართლოს დასახელება და შემადგენლობა;

გ) სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის დასახელება;

დ) გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

2. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ნაცვლად უნდა შეიცავდეს:

ა) სააპელაციო საჩივრის შემომტანი პირის მოთხოვნას;

ბ) საქმის გარემოებებთან დაკავშირებით გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითებას, შესაძლო ცვლილებების ან დამატებების გათვალისწინებით;

გ) მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის ან გაუქმების შესახებ;

დ) თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს ცალკეულ შეფასებებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ

Handwritten signature

საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება აღნიშნულ ნაწილში იცვლება მათზე მითითებით.

3. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სააპელაციო საჩივრის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე, აგრეთვე მითითებას გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადასა და წესზე.“

4. 390-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 389. სააპელაციო სასამართლოს განჩინების შინაარსი

1. სააპელაციო სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე ხელმეორედ არ წყდება არსებითად, მიიღება განჩინების ფორმით.

2. სააპელაციო სასამართლოს განჩინების შესავალ ნაწილში უნდა მიეთითოს:

ა) განჩინების გამოტანის დრო და ადგილი;

ბ) სასამართლოს დასახელება და შემადგენლობა;

გ) სააპელაციო საჩივრის ან კერძო საჩივრის (საჩივრის) შემტანი პირის დასახელება;

დ) გასაჩივრებული გადაწყვეტილება (განჩინება).

2. სააპელაციო სასამართლოს განჩინება აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ნაცვლად უნდა შეიცავდეს:

ა) სააპელაციო საჩივრის ან კერძო საჩივრის (საჩივრის) შემომტანი პირის მოთხოვნას;

ბ) საქმის გარემოებებთან დაკავშირებით გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითებას, შესაძლო ცვლილებების ან დამატებების გათვალისწინებით;

გ) მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) შეცვლის ან გაუქმების შესახებ;

დ) თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს ცალკეულ შეფასებებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება აღნიშნულ ნაწილში იცვლება მათზე მითითებით.

3. განჩინების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სააპელაციო საჩივრის ან კერძო საჩივრის (საჩივრის) მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე, აგრეთვე მითითებას გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადასა და წესზე.“

5. 443-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. 2008 წლის 1 იანვრამდე შეტანილი სააპელაციო საჩივარი ამ კოდექსის მე-14 მუხლით განსაზღვრულ საქმეებზე, ასევე ქონებრივ-სამართლებრივ დავაზე, რომლის ღირებულება არ აღემატება 10000 ლარს, შეიძლება ერთპიროვნულად განიხილოს სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლემ.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

